წელიწადი 1-ლი № 13

რედაქციის მისამართი პუშკინის ქუჩა სახლი გრკიელოვისა „ძმობის" სტამბა-ში. ქ. ქუთაისი

ხუთშაბათი 6 ივლისი 1917

რედაქტორი: პატო მიქელაძე

გამომცემელი ქალთა კლუბი

ხმა ქართველი ქალისა

გაზეთის ფასი:		განცხადების ფასი:	
1 წლით . .	6 მ.	პირველ გვ. პეტიტი	25 კ.
6 თვით.	3 მ. 50 კ.	უკანასკნელ გვერ.	15 კ.
1 ნახ. თვ.	1 მ. 80 კ.	სამგლოვიარო განცხადება .	5 მ.
1 თვით . .	80 კ.		

ფასი 10 კ. | ყოველკვირეული საპოლიტიკო სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი | ფასი 10 კ.

ქალებო, დაიცავით საარჩევნო უფლება!

თანამედროვე სამართლის სამართლიანობა.

ყოველი ორგანიზაციულად დაწყობილი საზოგადოება დამყარებულია თავისებურ სამართალზე. სხვა და სხვა ხალხში და სხვა და სხვა საზოგადო წყობილებაში სხვა და სხვა ნაირი სამართალია. სამართალი იცვლება დროსა და სივრცის მიხედვით ყოველ ხალხში. მისი გაუმჯობესება, მისი სამართლიანობა დამყარებულია ამა თუ იმ ხალხის წინსვლაზე და ზნეობრივ გონებრივ განვითარებაზე, სამართლის დამახასიათებელ თვისებათ ითვლება სოციალური ძალით ორგანიზაცია [illegible]ერთო მოვალეობის შესასრულებლათ. არსებობს საზოგადოებათ [illegible] დებულება, რომლისათვის [illegible] შესრულება. [illegible] მოკიდებულება არის იურიდიული. ყოველს სამართალს თანა სდევს სანქცია. ე. ი. იძულება საზოგადოებისა სამართლის მიერ გამოწვეულ მოვალეობის შესასრულებლათ, როცა მას რომელიმე წევრი საზოგადოებას არ ასრულებს. ზნეობა, სამართლიდან მით განირჩევა, რომ ის არის აქტი თავისუფალი, რომლის შესასრულებლათ არ არსებობს არავითარი იძულება. ანტომიური კრიტერია ყოველი სამართლისა, ამბობს დიდებული იურისტი თანამედროვე ბელგიისა ედმონდ პიკარი, -- პროფესორი „ბრიუსელის ახალი უნივერსიტეტისა" არის სოციალური იძულება.

საერთაშორისო სამართალში მართალია არსებობს იძულება en regle, მაგრამ ის სისრულეში მოყვანილი არ ხდება ორგანიზაციული სოციალური ძალით, რომლის გამო ეროვნული სამართალი საერთაშორისო სამართლიდან განსხვავდება. თანამედროვე იურისტთა აზრით ყოველი სამართალი პრაქტიკულ განსახორციელებლათ მოითხოვს ადამიანთა ორგანიზაციის სახელმწიფოებრივი ფორმით. იქ სადაც არ არსებობს სახელმწიფო პოზიტიურად არ არსებობს მათი აზრით სამართალიც. ეტიმოლოგიურად სიტყვა სამართალი ნიშნავს სისწორეს, მისი ჩვეულებრივი ემბლემა სასწორია. ონტოლოგიურად ე. ი. შინაგნათ ყოველი სამართალი შესდგება 4 არსებითი ელემენტიდან სუბიექტი, ვისაც ეკუთვნის სამართლით უფლება 2) ობიექტი,— მოქცეული უფლების ქვეშ 3) დამოკიდებულება სუბიექტისა და ობიექტის შორის 4) მფარველი იძულება, საზოგადოებისა რომელიც ემსახურება სამართლის დაცვას. ეს ოთხი ელემენტი ქმნის იურიდიულს კანონებს. სუბიექტი არის მესაკუთრე იმ უფლებისა, რომელსაც აძლევს მათ სამართილი და რომელიც ღებულობს მისგან სარგებლობას. თანამედროვე საზოგადოების სამართალში სუბიექტათ ითვლება მამაკაცი, როგორც პატრონი პიროვნული და რეალური უფლებისა.

ობიექტათ სამართლისა ითვლება ის, რაზედაც სუბიექტი მფლობელობს ე. ი. ნივთი. რას იძლევა პიროვნული სამართალი? პიროვნული სამართალი იძლევა თავისუფლებას პიროვნებისას, რომელიც სრულწლოვანს ანიჭებს მოქალაქობრივს და პოლიტიკურ უფლებას. რას იძლევა რეალური სამართალი? რეალური სამართალი იძლევა უფლებას ქონებაზე, მესაკუთრეს უფლება აქვს თავის საკუთრებაზე მაგალითად სახლზე რომელსაც ის ხმარობს, აქირავებს, მიწა და სხვა რომლიდანაც ის სარგებლობს და არის მის განუსაზღვრელ მფლობელობის ქვეშ.

ეხლა ვიკითხოთ თანამედროვე სამართალში, რომელსაც ეგრე თავი მოაქვს თავისი სიმართლით, გაუხრელობით და სხვა, დაცულია თუ არა სამართლიანობა ერთი ნახევარი კაცობრიობის მიმართ. არსებობს თუ არა ქალებისათვის პიროვნული და რეალური სამართალი? არა! პიროვნული სამართალი დღემდე სრულწლოვან ნორმალურ დედაკაცს არ ანიჭებს პიროვნულ თავისუფლებას და მოქალაქეობრივ უფლებას. რეალური სამართალი ზღუდავს მის უფლებას ქონებაზე, მაშასადამე არც არსებობს ქალებისათვის. რეალურსა და პიროვნულ უფლებას მოკლებული არსება არ ჩაითვლება სუბიექტათ და ის არის ნივთი, ობიექტი თანამედროვე სამართალში. ეხლა ვიკითხავთ შესაძლებელია თუ არა, რომ გონიერი, შეგნებული ქალები ემორჩილებოდენ ასეთს სამართალს და არ ამხედრდენ მის წინააღმდეგ?

რომელმა ოჯახისა და დედობის მოვალეობამ უნდა შეარიგოს თანამედროვე ქალები იმ აშკარა დამცირებას თავიანთ პიროვნებისას, რომელთაც მამაკაცთა მიერ გამოგონილი უსამართლო სამართალი მათ უცქერის ისე, როგორც ნივთს, მოსახმარ ობიექტს და არა როგორც სუბიექტსა და პიროვნებას?!

ჩვენი ღრმა რწმენით ვერავითარი, რადგან დედობა ჩვენ არ მიგვაჩნია დედაკაცის ადამიანური პიროვნების მოსპობ მოვლენათ. და ვინც ასეთს მოვალეობას მოითხოვს ჩვენგან, მას იმავე დედის სახელით ვუცხადებთ: ზიზღი იმ დედას, რომელიც თქვენს ნაკარნახევს მოვალეობას ადამიანის მოვალეობათ ჩასთვლის. თქვენ ეტრფით პირუტყვს, უპიროვნო დედას, ჩვენ ვეტრფით სრულუფლებიან მოქალაქე მშობლეს. თქვენი მომხრეა ბნელი წარსული, ჩვენი მოსარჩლეა ბრწყინვალე მომავალი. ის დაანგრევს თქვენს ცრუ სამართალს და აღადგენს ახალს დედას, ახალი ადამიანის უფლებით და მოვალეობით. დღევანდელს სამართალს კი დღევანდელი ქალები უნდა შეებრძოლონ, და ამისათვის მოვითხოვთ მათ ორგანიზაციულად შეერთებას.

წერილი ბათომიდან.

ჩვენი ქართველების უბედურობა ის არის, რომ ვერა გზით ვერ ვპოულობთ შესაბამ წამლებსა დასახსნელად ორის უმთავრესის სენისაგან. პირველი სენი ჩვენი არის დაუცხრომელი უნაყოფო ენა წყლიანობა. ვლაპარაკობთ ბევრს, მაგრამ საქმეს სარგებლიანს არა რას ვაკეთებთ. ამ დაუცხრომელ მშვენიერ მეტყველებაში პირველად ვიცავთ მხოლოდ ჩვენს ინტერესებს, ჩვენ სარგებლობას. მოყვასის ინტერესი ფეხზე გვკიდია. მეორე სენი ის გახლავს, რომ ჩვენ ვერ ვაფასებთ სასარგებლო საზოგადოების წევრს და ვცდილობთ ამ გვარი სასარგებლო წევრი დავსცეთ დედა მიწაზედ გურული კვანტით". რისთვის არიან ძლიერნი ებრაელები და სომხები? მისთვის, რომ ისინი ადმერთებენ თავიანთ გულწრფელ მოღვაწეებს, გარს ეხვევიან მას და სცდილობენ მათ კეთილ დღეობასა. გარდა ამისა ყველანი მუშაობენ თანხმობით, სიყვარულით და ყოველ ფეხ ნაბიჯზედ მიდიან დაფიქრებულად. ქეიფს და უსაქმობას ისინი მტრულად უცქერიან და არ ისვენებენ მანამდე სანამ არ მისცემენ კეთილ და სარგებლიან გზასა თავიანთ საქმეებს.

პატივცემულო რედაქტორი! თუ გნებავთ გამოიყვანოთ აქაური გათათრებული დედათა სქესის ქართველობა, გაჭირებიდან მაშინ მიიღეთ ყოველივე ზომა განამრავლოთ ამ დაბნელებულ ალაგებში საქალებო სახალხო სკოლები, სადაც უმთავრესი ალაგი მიეცეს ქალის ხელ საქმეს. ერთი იმნაირი საქალებო სკოლა, რომელიც ეხლა უჭირავს ქ. ქუთაისში დაუცხრომელ და პატიოსან მშრომელს ევგენია კორძაიას ქალს, დიდათ გააბედნიერებს აქაურ მოსწავლეებს. მე მხოლოდ გთხოვთ, რომ მომავალმა მასწავლებელ ქალებმა არ შეიტანონ პოლიტიკა სკოლის შრომაში, არ შეეხონ რჯულს და ზნეობითაც იყვნენ შეუმქვალელნი.

ჭეშმარიტი განათლება თან და თან მოსპობს მათ ცრუ მორწმუნეობას.

აქაური ხალხი, განსაკუთრებით დედათა სქესი, დაჩაგრულია სულით და ხორცით, მაგრამ ღმერთმა დაასაჩუქრა ისინი დიდის ნიჭით- და საჭიროა, რომ ეგ ღვთისაგან მონიჭებული ნიჭი განვავითაროთ და განვამრავლოთ პატიოსანი და თავისუფალი დედები.

ეგ დავიწყებული ქვეყანა ღმერთის [illegible] მშვენიერი [illegible], მშვენიერი მდებარეობით და [illegible] მდიდრული ბუნებით, მაგრამ სამწუხარო ის არის რომ, როგორც ხალხი, ეგრე ეგ კურთხეული ბუნება დამუნჯებულია. საბრალო ხალხმა არც კი იცის, რაში მდგომარეობს მონიჭებული თავისუფლება. საჭიროა დაბრმავებულ ხალხს უჩვენოთ კეთილი ნაყოფი განათლებისა და სიმდიდრისა. დიდს სიმდიდრეს შემოუტანს ხალხს გავრცელება სამეურნეო-სკოლებისა.

ნახეთ ეგ დაბნელებული ხალხი, გაეცანით, შეიტყვეთ მათი ლხინი, მათი მწუხარება, მათი მდგომარეობა და გაუწოდეთ მათ დამხმარე ხელი.

თითქმის ორმოცი წელიწადია, რაც ბათუმის ოლქი ჩვენს მფლობელობაშია, მაგრამ, ძველ მთავრობას არ სურდა შეეტანა აქ შესაფერი განათლება. არც ჩვენი ქართველობა დებულობდა სახეში აქაური ხალხის მდგომარეობას, მხოლოდ ამ ომიანობის დროს დაიწყო ქართველ საზოგადოებამ ქართული სკოლების გახსნა. ეგ სკოლები დიდ სარგებლობას მასცემს დატანჯულ ხალხს, თუ რომ მასწავლებელნი თავის მოვალეობას ასრულებენ პატიოსნათ და სინდისიერათ.

კიდევ ორი სიტყვა: თუ რომ საფრანგეთის, ინგლისის, და გერმანიის ქალები მოდიან დასათვალიერებლათ ჩვენის კეკლუცად შემკული კავკასიისა, ნუ თუ ჩვენი პატრიოტკები არ ისურვებენ გაეცნონ აჭარლებსა და ლაზების ყოფა ცხოვრებას? მობრძანდით და გაეცანით აქაურ ქალების ტანჯულ მდგომარეობას და შეეშველეთ მათ!

მ. დ. მაჭავარიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ. დ. მაჭავარიანის წერილის გამო

ერთობ საყურადღებოა ბ. კ. დ. მაჭავარიანის წერილი. ჩვენს ინტელიგენტ მამაკაცთა შორის ეს ერთად ერთი ადამიანია, რომელმაც ხმა ალიმაღლა ჩვენი გამაჭმადიანებული დების უმწეო მდგომარეობაზე.

ჩვენ გვესმის აჭარა, ლაზისტანზე ჩივილი. გვესმის მათ გაჭირვებაზე წუხილი, მაგრამ შესახებ იქაური ქალების უნუგეშო მდგომარეობისა არსად სიტყვა არ იძვრის. დასტირიან ძმების გათიშვას, მათ სამშობლოს მაჯის ცემის მოწყვეტას, მარა არავითარი სინანული დებზე, დების გამოყოფაზე და მათ გაჭირვებაზე. ჩვენი პატრიოტები არა თუ არ სცდილობენ მათ მიშველებას, არამედ უკანასკნელ დროს აზიური ზნეჩვეულების მოტრფიალეთაც გადაიქცენ და არამხანულს მწერლობას ქართული ხელოვნების ამაღორძინებლათ სახვენ.

რაც უფრო მეტი დრო გადიოდა ქართველი ქალის ნიჭი და ენერგია მით უფრო იდევნებოდა საზოგადო ასპარეზიდან, არა მარტო ძველი მთავრობიდან, არამედ თვით ჩვენი მამაკაცებიდან.

წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ეს ერთად ერთი ეროვნული დაწესებულება კულტურულ განმანათლებელ საქმისა მთლიანათ მამაკაცების ხელშია, სადაც ქალები ან სულ არ არიან დაშვებული და ან იმდენათ მცირეა მათი რიცხვი და უმნიშვნელო, რომელთ თვით მოქმედებაზე ლაპარაკიც მეტია.

საქმე, რომელსაც, ბ. კ. დ. მაჭავარიანი გაზეთ „ხმა ქართველი ქალის“ რედაქტორსა და მის თანამშრომლებს მიუთითებს იმ ქალების მოვალეობას შეადგენს, რომელთა ქრმები და ძმები ჩვენს ეროვნულ დაწესებულებას მეთაურობს, სანამ ჩვენი ეროვნული ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდეს. ჩვენს პატარა ჯგუფს შეადგენს ისეთი ქალები, რომლებიც მზათ არიან თავიანთი გადარჯულებული დების გონებრივი სიფხიზლისათვის საკუთარი ხორცი ამოიჭრან, მაგრამ დღეს დღეობით მათ, გარდა ამ გულწრფელი სურვილისა არავითარი ღონისძიება არა აქვს. ჩვენ ვართ უბრალო მუშა ქალები, რომელნიც მკერდით ვებრძვით სქესთა ბატონყმობას და იქ სადაც ხელი მიგვიწვდება თავსაც შევსწირავთ მისთვის. მაგრამ იმ რჩეულთა შორის, რომელნიც ჩვენს ეროვნულ საქმესა და ქონებას განაგებს ჩვენ არასოდეს ხმა და ადგილი არა გვქონია და არცა გვაქვს. დროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს იმ ქალებმა, რომელთაც ასე თუ ისე გავლენა აქვთ ჩვენს მეთაურებზე და ახლო უდგანან მათ,

საზოგადო ტემპერამენტის მსხვერპლზე

რა უყოთ პროსტიტუციას.

I

მიზეზი პროსტიტუციისა

ქ-ნი ბაარის ჩემთვის შეკრებილი ცნობები კალინკისკის საავათმყოფოში პროსტიტუტკებთა შორის გვიჩვენებს მიზეზთა მრავალნაირობას, რომლითაც ქალები სცვივიან ბიწიერებაში. 103 გამოკითხულში 53-მა შემდეგი მიზეზი დაასახელა: 30-თმა განაცხადა, რომ მათ არ სურდათ მუშაობა; 3 უადგილოთ დარჩენით უკიდურეს სიღარიბისა გამო; ერთი წასულა საროსკიპოში პასპორტის უქონლობისა გამო. ორმა სთქვა, რომ სიღარიბისა გამო ისენი ეწეოდენ საიდუმლო პროსტიტუციას, ბოლოს პოლიციამ შეიპყრო და მისცა მათ ყვითელი ბილეთი. ერთი უცოდინარობით ჩავარდნილა საროსკიპოში. სამი გახდენ პროსტიტუტკებათ მისთვის, რომ ისინი გამოაგდო მშობლებმა ქალწულობის დაკარგვისა გამო. ერთს ეშინოდა სახლში დაბრუნება, მისთვის რომ შეეყარა სიფილისი, მეორეც ამ ბედში ჩავარდნილი მისცემია პროსტიტუციას. ერთს უნდოდა გაეგო რა იყო პროსტიტუცია. მეორეს თვით არ ესმის, თუ რათ გახთა პროსტიტუტკა. ორს ურჩიეს ამხანაგებმა. ოთხი აიძულეს ნათესავებმა. ერთი დედის სიკვდილისა გამო. ერთს მოკვდენია უკანონო ქმარი. ასეთია ეგრეთ წოდებული სუბიექტიური მიზეზები, რასაც ასახელებდენ თვით პროსტიტუტკები. მკვლევარნი არ კმაყოფილდებოდენ ასეთი მიზეზებით და კრებდენ სხვებს, უფრო საზოგადოს და ობიექტიურს: წელიწადი, წოდება, ხელობა, ცოდნა, ქონებისა და ოჯახური მდგომარეობა და სხვა. რუსული ოფიციალური სტატისტიკა (შედგენილი მთელი რუსეთისათვის 1889 წ გვიჩვენებს, რომ რუსეთის საზედამხედველო პროსტიტუციაში ურევია (83,5 პროც.) ღარიბი, წერაკითხვის უცოდინარნი (77,6 პროც.) სრული ობლები (87,4 პროც.) ძლიერ ნორჩნი (69,9 პროც.) 16 წლიდან 21 წლამდე 80,5 პროც. 14,6 პროც. გაუპატიურებულნი. პროსტიტუტკებში ურევია დიდი პროცენტი შინაური მოსამსახურეთა (45 პროც) მრავალი მკერავი ქალები, (8,4 პროც) ქალებს არ ჰქონდათ გარკვეული ხელობა.

დ. ფედოროვის ცნობებიდან სჩანს, რომ პეტერბურგის პროსტიტუტკებში სჭარბობს სიღარიბე და მრავალი ობლებია, 35 პროც. დაუკარგავს ქალწულმა 16 წლამდე, მრავალი გაუპატიურებელი, 19 პროც. საყვარლებიდან მიტოვებულნი და დიდი პროცენტი მოსამსახურეთა. ქ-ნი ბაარის ცნობით 88 პროც. პროსტიტუტკებისა 25 წელზე ნაკლებია. მოსამსახურენი 40,7 პროც. უკანონოთ შეკავშირებულნი 20% დ-რი Commenge-ის სტატისტიკიდან სჩანს რომ პარიზში ურიცხვი პროსტიტუტკები 25 წელზე [illegible] (84 პროც.), მრავალი წერაკითხვის უცოდინარნი (16 პროც) სრული ობლები (29 პროც.) ფეხმძიმობის დროს მიტოვებულნი (10,2 პროც.) ხელზე მოსამსახურენი (39 პროც.) მკერავი (19 პროც).

რომ შევადაროთ სუბიექტიური მიზეზები ნაჩვენები პროსტიტუტკებისა საქმეთ პოლიციის კომიტეტისათვის და ქ-ნი ბაარისათვის ჩვენ შევამჩნევთ მათ შორის მზგავსებასაც და განსხვავებასაც ერთად. იქაც და აქაც ჩვენ ვხედებით მრავალს არა მსურველთ მუშაობისას, ცუდი ნათესავებისა და ამხანაგების გავლენას, სიღარიბესა და გაჭირვებას. შემდეგ ოჯახურ უსიამოვნებას საქმროების ღალატს, მშობლებიდან გამოგდებულთ და უპასპორტოებს.

რომ პასპორტის უქონლობა აიძულებს ქალს ზოგიერთ შემთხვევაში პროსტიტუციას ამას თვით დ-რი ფედოროვი აღიარებს. ის ამბობს, რომ ხანდახან ორი მანეთის გაჭირვება ახალი პასპორტის ასაღებათ აგდებს ქალს ზედამხედველობის ქვეშ და ეძლევა პროსტიტუციას“ო

ბევრისათვის გაუგებარია თუ რისთვის ასეთი უმნიშვნელო მიზეზი იწვევს ასეთ დიდს შედეგს. მაგრამ ეს აიხსნება იმ მძიმე მდგომარეობით, რომელშიაც ვარდება პეტერბურგში უბრალო უპასპორტო ქალი. ამაზე ჩვენ ქვემოთ ვილაპარაკებთ.

ხანდახან ქალიშვილი ლაპარაკობს: „მე გავხდი პროსტიტუტკათ მისთვის რომ გამომაგდეს მშობლებმა ან მეშინოდა [illegible]ში დაბრუნება“. აქ მიზეზათ ხდი[illegible] [illegible]ო აზრი, — შეხედულება [illegible] დაკარგვაზე. მშობლები [illegible]ვები და საზოგადოება სასტიკათ სჯის ქალიშვილს ამისათვის, ზურგს აქცევენ მას, აგდებენ საბედისწეროთ და ქმნიან მისგან პროსტიტუტკას. თუ რომ შემცოდეს არ შეეძლება თავის რჩენა და არა აქვს

მილიტანტკები ინგლისში.

III

მთავრობა მრავალ სუფრაჟისტკებს ყრიდა ციხეში, სადაც უკანასკნელნი აცხადებდენ შიმშილს. ციხეში სცდილობდენ ძალათ ესაზრდოებიათ ისინი, რომელიც იწვევდა საზარელს სცენას. ამის შესახებ მთელს მხარეში დადიოდა ხმები, და ბევრი აღშფოთებაში მოყავდა.

პარლამენტში ყოველ დღე კითხვას უყენებდენ მინისტრებს შესახებ მასიური შიმშილისა.

ბოლოს 1914 წ. საშინაო საქმეთა მინისტრმა მაკ-კენმა პარლამენტში აღიარა, რომ მთავრობის ბრძოლამ მილიტანტკებთან არა თუ არ მოიტანა სასურველი შედეგი, არამედ უფრო მეტი მღელვარება გამოიწვია და შეიტანა წინადადება, რომ იეცათ ის პირნი პასუხის გებაში, ინც სუფრაჟისტკებს ნივთიერად ხმარებოდა; და დაეჯარიმებიათ ისე ი იმ საზარელისთვის, რომელსაც სუფრაჟისტკები აყენებდენ კერძო აკუთრებას. ასეთმა წინადადებამ სასტიკი კრიტიკა გამოიწვია.

კეირ-გარდი ამბობდა, თუმცა ევრი აღშფოთებულია მილიტანტკეის გამოსვლით, მაგრამ ხალხი სრუიათ მშვიდათ და გულ-გრილათ უწყვებს ცქერას მათ საქციელს, [illegible] ხმის [illegible]

იმის მაგიერ, რომ პალატა არჩევდეს საკითხს არჩევანთა ხმის გავრცელებისათვის ქალებზე, იმის ცდაშია, თუ რა ზომები მიიღოს მან მილიტანტკების საწინააღმდეგოთ.

რუპერტ გვინი აღნიშნავდა მას, თუ რა სასაცილო მდგომარეობაში ჩაცვივდენ მინისტრები. მათ ყველგან უნდა სდევდენ დარაჯები, რომელთ უმისოთ მათ ავტომობილშიაც უჭირთ ჩაჯდომა. ეს ქალები მზათ არიან სასიკვდილოთ, რომ თავი დასდვან თავიანთ საქმისათვის და განა ისინი მიაქცევენ ყურადღებას მათი ქონების დაკარგვას?

უედჟვუდი აცხადებდა, რომ პარლამენტი ვალდებულია გაარჩიოს, თუ რამდენათ სამართლიანია მოთხოვნილება ქალებისა და მოიქცეს სამართლიანათ და არა დევნიდეს მათ.

ასეთი საუბარი ხდებოდა 11 ივნის 1914 წ. რა დიდი განსხვავებაა დეპუტატების დამოკიდებულებაში ქალთა არჩევანთა უფლებობისადმი, შედარებით 1905 წ. მათ განწყობილებასთან. სრულიად ჭეშმარიტებაა მისს. პანკჰერსტის სიტყვები, რომ მილიტანტობამ ინგლისში წინ წასწია საკითხი ქალთა უფლებისა და აიძულა დეპუტატები სერიოზულად მოპყრობოდენ მას.

ომის დაწყებისთანავე მილიტანტ- [illegible] და ძველებურად გახდენ “დედები და მზარეულები ქრმებისა“. მილიტანტკებმა შეიტანეს ნათელი ფურცლები ქალთა მოძრაობის ისტორიაში, არა თუ ინგლისში, არამედ მსოფლიოში. მათ დაანახეს საზოგადოებას, რომ ქალებში ურევია ისეთი პირნი, რომლებსაც შეუძლიათ ბელადობა მასისა და რომ ქალებსაც აქვს ნიჭი შექმნან დამოუკიდებელი, ფართო მოძრაობა თავისუფლებისათვის და თავ განწირული იდეური ბრძოლისა.

დღემდე ისტორიას არ უჩვენებია ჩვენთვის ასეთი აშკარა მაგალითი უფლებისათვის ქალების ბრძოლისა, როგორიც გვიჩვენეს მილიტანტკებმა. ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოების ისეთმა ნაწილმა, რომელზედაც ლორდ სესილი 11 ივნის 1914 წ. პარლამენტის კრებაზე მწუხარებას გამოთქვამდა იმ უცნაური ენერგიის და საკვირველი მატერიალის დახარჯვაზე, რომელიც გამოიწვია მილიტანტურმა მოძრაობამ.

და მართლაც მილიტანტკები ანცვიფრებდენ საზოგადოებას თავისი შეუპოვრობით, ენერგიით, ენტუზიაზმითა და თავგანწირულობით და ამასთან ერთად თავიანთი [illegible] გამოგონებით

თანამედროვე ხალხს გაუძნელდება მათი სამართლიანათ განსჯა. მაგრამ რაც მეტათ და მეტად გაიწევს მათი გამოსვლა ისტორიაში, მით უფრო ნათელი მოეფინება ხალხის თვალში მათ ღირსებას. სუფრაჟისტკების მილიტანტობა ჯერ ჯერობით გაწეულია წარსულში. შეიძლება არ განახლდეს ის, თუ რომ ინგლისის მთავრობა მიეგებება ქალთა მოთხოვნილებას და გაიყვანს ბილს ქალთა არჩევანთა უფლებაზე. როგორც ეტყობა ის იძულებული ხდება დააკმაყოფილოს ქალთა მოთხოვნილება 1915 წ. ამბობდა მისს. პანკჰერსტი. დღეს, როგორც გადმოგვცემენ გაზეთები ინგლისის ქალებმა მიიღეს კიდეც არჩევანთა ხმის უფლება. მართალია ასეთს უფლებას დღეს დღეობით აძლევენ მხოლოთ 30 წ. ქალებს, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუციის ტალღა და ინგლისელ ქალთა ადამიანური სიამაყე ხნოვანების უთანასწორობასაც ბოლოს მოუღებს; და დიდებული მებრძოლნი ადამიანის სრულ უფლებით შეიმოსებიან.

გაუმარჯოს თავისუფალს რუსეთს, დიდება და პატივი უფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლ ინგლისელ ქალებს!

საკმარისი ხასიათის სიმტკიცე, რომ ებრძოლოს, შიმშილს გაჭირვებასა და მახლობელთაგან მოძულებას, ისაუცილებლათ ხდება მსხვერპლი საზოგადო ტემპერამენტისა, ანუ უფრო სწორად რომ ვსთქვათ თანამედროვე საზოგადო წყობილებისა.

თანამედროვე ცივილიზაციურ საზოგადოების ცხოვრებით აიხსნება მრავალი სხვა მიზეზებიც, რომელიც აგდებს ქალებს პროსტიტუციაში: სიღარიბე, მცირე ხელფასი, გაჭირება და სხვა. ყველა პროფესიაზე მეტათ საზოგადოებას აწვდის პროსტიტუტკებს მოსამსახურეობა

დ-რი Commenge-ი პარიზელ პროსტიტუტკებში ნახულობს 39 პროც. მოსამსახურეს. დ-რი Pileur აღნიშნავს აგრეთვე მოსამსახურეთა პროცენტის სიდიდეს პარიზის პროსტიტუტკებში. დ-რი ბლაშკო ბერლინის პროსტიტუტკებში აღნიშნავს (51,3 პროც.) მოსამსახურეებს. ამ გვარად სხვა და სხვა ადგილს შეკრებილი ცნობა მოწმობს, რომ შინაური მოსამსახურენი იძლევიან დიდს პროცენტს პროსტიტუტკებისას. ინტელიგენციას შეფერის ჩაფიქრება ამ ფაქტზე და მოიძებნოს მიზეზები, თუ რისთვის უბრალო სოფლის ქალიშვილი, როცა მოხვდება უფრო მაღალს კლასს მცხოვრებლებისას ეგრე მდაბლა ეცემა. ამ მიზეზების გამორკვევა ერთობ საჭიროა, რომ გვექნეს საშვალება მისი თავიდან აშორებისა. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ იმ პირობებთა შორის, რომელიც ხელს უწყობს პროსტიტუციას განსაკუთრებით თვალსაჩინოა სიღარიბე, მარტოობა, უვიცობა, სიყმაწვილე და ცდუნება. ამისათვის ჩვენ ვკითხულობთ: აქვს თუ არა ამ მიზეზებს განსაკუთრებითი მნიშვნელობა მოსამსახურეს ხშირს დაცემაში?

დ-რი Commenge-ი მოსამსახურეთა გარყვნას ხსნის გაჭირვებით, რომელშიაც ვარდება გამოუცდელი პროვინციალკა დიდ ქალაქებში სანამ ის ადგილს იშოვნიდეს, ან ადგილის დაკარგვის შემდეგ. რუსის გამომკვლევი დ-რი ობონენკო მოსამსახურეთა პროცენტის სიდიდეს პეტერბურგის პროსტიტუტკებში აწერს იმ თავდასხმას, რომელსაც ახდენ პოლიცია ღამის სათევ სახლებში, უმდაბლესი ხარისხის ყურის ბინებში და სხვა მივარდნილ სატახტო ქალაქის ადგილებში, სადაც მეფობს უკიდურესი სიღატაკე. ყველა ის ქალები, რომელნიც ჩამოვლის დროს პოლიციას ხვდება ქუჩაში და აღნიშნულ თავშესაფარში, რომელთაც არ შეუძლიათ ამცნონ თავიანთი საცხოვრებელი ადგილი და გარკვეული საქმე, ხეკენ და აგზავნიან მათ საპოლიციო უბნებში. ასეთ ქალებს ეძახიან კომისნებს და ეპყრობიან მათ ისე, როგორც პროსტიტუტკებს, მიუხედავათ იმისა, რომ ხელთ არა აქვს დამამტკიცებელი საბუთი, რომ ისენი ყიდიდენ თავიანთ სხეულს.

მეორე დღესვე აგზავნიან მათ საექიმო პოლიციის კომიტეტში შესამოწმებლათ. იქ ქალიშვილს აცდენს საროსკიპოს დიასახლისი, და პოლიციის მოხელე რომელიც ფიქრობს, რომ ის საიდუმლო პროსტიტუტკაა და ურჩევს მას თადარიგისათვის ყვითელი ბილეთის აღებას. ასეთს კომისნების რიცხვში ურევია მრავალი გლეხის ქალები, ჩამოსულნი სატახტო ქალაქში სამუშაოთ, რომლებსაც თან გამოყოლილი აქვს რამოდენიმე გროშები. მათ შორის ხვდებით არა მცირე ნაწილს ადგილის მაძებარ მოსამსახურეებს. უადგილობით გაჭირვებაში ჩავარდნილთ ქალებს აგროვებს პოლიცია. ასეთი მდგომარეობაში დაჭერილი ქალიშვილი ემორჩილება ზედამხედველობას, ღებულობს რჩევას და ხდება პროსტიტუტკა! წიგნში კი მიზეზათ სწერენ: ,,საკუთარი სურვილით ,,გაჭირვება‘‘.

ასეთი თავდასხმით საბრალო ქალებზე ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ, თუ რასთვის პასპორტის დაკარგვა აიძულებთ მათ საზედამხედველო პროსტიტუტკის ბილეთის აღებას.

დ-რი ბლაშკოს აზრით მოსამსახურეთა სიმრავლე პროსტიტუტკებში ამტკიცებს მას, რომ წასული საუკუნის ნახევარში მათი მდგომარეობა, თუ არ გაუარესდა არასფრით არ გაუმჯობესებულა ბერლინის მოსამსახურეებს დღესაც თავს იწევს 1815 წ. პრუსიელი კანონი. მათ ხეკენ განსაკუთრებით სოფლებიდან, რომლებსაც თავისებური შეხედულობა აქვთ სქესობრივ კავშირზე. ტრადიციით ბატონები და ჯარის კაცები ეხლაც უბოდიშოთ სარგებლობენ მოსამსახურეებით ცნობილი მიზნისათვის. სოფლის გოგო, ჩამოსული მილიონ ხალხში დიდი ქალაქისა მარტოხელი შეუწევნელი იბნევა და იღუპება. ამ გვარად აღნიშნული ავტორები ყველა ამას აწერენ გაჭირვებას, შეცდენას მარტოობას და სხვა.

ასეთი უკეთური პირობები უფრო ხშირად გვხვდებათ მოსამსახურეთა შორის.

ჩვენ ვიცით, რომ მოსამსახურე ქალები წარმოადგენენ საზოგადოთ მარტოხელ სოფლის ქალიშვილებს, რომელთაც გაჭირვება აგდებს ქალაქში სამუშაოთ. მათ ან სულ არ ყავთ დედ-მამა და ან რჩებიან სახლში და ქალიშვილი კი მიდის მარტო ბედის საპოვნელად. ახალგაზდა გამოუცდელი უვიცი, მას ეჭვიც არ აქვს მაზე. თუ რამდენს მაცდუნებელ მახევს, როგორც მაჭანკლებს, სუტენერებს, პოლიციის აგენტებს საროსკიპოების გამგებთ და სხვათ უმზადებს მას ქალაქი. ის ერთხელ გაუფრთხილებლობით ან მოტყუებით ჩავარდნილი ამ მახეში უძლურია თავი წაართვას მას და ან როგორ შეძლებს ის მისგან თავის განთავისუფლებას, როცა ერთი მხრით ქალის სხეულით მოვაჭრენი ყოველი საშუალებით სცდილობენ მათ დაჭერას და მეორე მხრივ—წესიერი ხალხი ზიზღით დევნიან მათ. მას დაღუპვის მეტი არაფერი რჩება!

ექიმა პაკროვსკაია.

(შემდეგი იქნება.)

თანამედროვე გეტერას!

თხელ საბანაო სამოსელში გამოხვეული,
როცა ზღვას გასცქერ, ხშირი თმები მხრებზე გროვდება,
მარმარილოს ჰგავს შენი ტანი კოხტათ ჩამოთლილს;
და მეც ვენერას ქანდაკება მომაგონდება.

ერთ დღეს შენც იყავ სულით წმინდა გულით უმანკო,
ერთს დღეს შენც გწამდა სიყვარული იმედი რწმენა,
მაგრამ ეს ყველა მოკლეს შენში დაგისამარეს,
და დღეს კი, დღეს კი ყველას ძალუძს გიყიდოს შენა!

საბრალო ქალო, მსხვერპლო სოფლის უკულმართობის,
რათა ხარ ეგრე ბედისაგან მტრულად ძნეული?!
ჰო როგორ მტანჯავს, რომ ბინძურმა ხელმა შებღალა,
და დაგიმცირა წმინდა სული, ტურფა სხეული!!

სოფიო მგელაძე.

დამაკვირდი.

წესრიგის დაცვის გრძნობა იმდენათ განვითარებულია ქალებში, რომ მათ ერთობ დიდი ადმინისტრაციული ნიჭი ექნებოდა.

მაშლე.

როდესაც ვაჟსა ზრდით თქვენ ანათლებთ ადამიანს, როდესაც ქალიშვილსა ზრდით მთელს ოჯახს.

ჟულ სიმონი.

მამაკაცები დიდათ სცდებიან, როცა ფიქრობენ, რომ ქალის ადამიანური ბუნება და მათი ვითომ სხვა და სხვა იყოს. და მისდა მიხედვით მქნიან კანონებს, რომელნიც ზღუდავს ქალთა მოქმედებას და ხელს უშლის მათ გონებრივ განვითარებას.

ბულვერი.

ბედნიერი ცოლი

დილით ძლივ ლოგინიდან წამომდგარმა ქეთომ დიასახლისობას შეუდგა მიალაგ მოალაგა პატარა მიწური ოთახი, წიწილებს საკენკი წაუყარა, ბავშები დააპურა და შეუდგა სადილის მზადებას.

ქეთო მესამე წელიწადია რაც ნიკო დიდგულიძეს ცოლათ გაყვა და გათხოვებისთანავე ახალგაზდა ჯანსაღი ქალი თანდათანობით დასნეულდა. სხვა და სხვა სოფლის ექიმბაშებმა მას ბევრი უწამლეს, მაგრამ სასიკეთო ცვლილება მის ერთხელ შელახულ ჯანმრთელობის არ დაეტყო. ნიკო დიდგულაძე ავათყოფს ცოლს. ვერაფერი ხალისით უცქერდა და ხშირად შესჩივლებდა ხოლმე მეზობლებს მის უბედურ მდგომარეობაზე და თანაგრძნობასაც ხდებოდა.—

— მოურჩენელ ავათმყოფს მკვდარი სჯობია, ეტყოდა ხოლმე ნიკო გვნეშით თავის ამხანაგებს, თუმცა მას ეს ავათმყოფ ცოლი ასე თუ ისე ყოველგვარს სამსახურს უწევდა.

ჩვეულებრივათ ქეთომ დღესაცა მოამზადა სადილი, მაგრამ თავი იმდენათ ცუდათ იგრძნო, რომ მორჩა თუ არა მზარეულობას ბავშებს სუფრა გაუშალა, ქმრის ულუფა ცალკე შეინახა და თვით კი პირში ლუკმა ჩაუდებლათ ლოგინს მიაშურა. გამაძღარი ორი პატარა გოგონები დედას მიუსხდენ და თავისებური ტიტინით მისუტებულს თლემას ურღვევდენ.

— დედაკაცო, სადილი მზათ არის შემოესმა ხმა ბრძანებელი ქმრისა, რომელმაც რაც ძალა და ღონე ჰქონდა მხრიდან ჩამოღებული თოხი კარებს დაახეთქა და შემოვიდა სახლში.

ყოველთვის მხართეძოზე წამოწოლილია! გააჭივრა შენმა კნავილმა საქმე ან მორჩი და ან მოკვდი შეყვირა ნიკომ ცოლს.

—რა ვქნა ბარემ მეც მინდა სიკვდილი მაგრამ რომ არ მელირსა?! უპასუხა ქეთომ და ტირილი წასკდა

ნუ ტირი შენს დღესა მოსწრებას, ნუ გააწყალე გული, თორემ ღმერთმანი უბედურებას ჩამადენინებ დაუყვირა ქმარმა. ქეთომ ტირილ შეიკავა და დადუმდა.

დედაკაცო ნამუშევარი კაცი მოვსულვარ და საჭმელი მომიტანე!

— ყველაფერი დამზადებულია და მაქ არის შენახული გამოალე და ისადილე, უპასუხა ქეთომ.

—ვაი შენს ხელში ჩემი თავი! მწარეთ ამოგნეშით სთქვა ნიკომ და ადგა, საჭმელის გამოსატანათ.

— შე ოხრის გამოჯემულო, სულ ლოგინზე აგდიხარ და სტირი, ერთი სთქვი, რომ კარგათა ხარ. კარში გავიდა, ხელები დაიბანა და სადილს მიუჯდა. როცა გემრიელი ულუფით გამოძღა უმადურათ ადგა წამოავლო მურთაქს ხელი და ეზოში დასაძინებლად გავიდა

დასვრილი საინები სუფრაზე აულაგებელი დარჩა, ატირებული ბავშები ავათ მყოფ დედას კალთასა გლეჯდენ ასადგომათ, თითქო ეუბნებოდენ: ქალიხარ და სუფრაც შენ უნდა ალაგო“ო

ნინო ნადარაძე

სურათი სოფლად.

—

ჰა თქვენ ოხრის ტიელო, სადაც არის ეხლა მივალთ შესძახა მეეტლემ ცხენებს, რომლებიც ოფლში იყვნენ გაწურული და. ჰაერში მათრახის წვერი გააქანა, რომლის ზუილმა საბრალო ცხოველები აავარჯიშა და ფრუტუნით კვლავ მგზავრებით სავსე ეტლს დაუწყეს წევა.

ამის შემდეგ ბევრი დრო არ გასულა და მეეტლემ ეტლი შეაჩერა.

მიველით ამოიოხრა მან და ოფლიან შუბლზე ცხვირსახოცი გადაისვა. მგზავრებმა იწყეს ჩამოსვლა, მეც თან მივყევი.

რა გერგება შევეკითხე მეეტლეს, ვინაიდან მას წინ და წინ არ გავრიგებულვარ.

ხუთი მანეთი, მომიგო მან. რის შემდეგ ფული ვადავეცი და ჩვენს გზას გაუდექი.

საუცხოვო სურათი, თვალწინ მეშლებოდა.

აქა იქ აფერადებული მინდვრები, რომელზედაც მწყობრათ გურული სიმღერები გაისმოდა სადაც ერთი მამა კაცის ხმა არ ერია,

დაინტერესებულმა პატარა გორაკს დაუახლოვდი და მათ და შეუმჩნეველად ხის ჩრდილში წამოვწექი. სიამოვნება ვიგრძნე, როდესაც შრომის შვილები მოდებოდენ ვით კალიები პაწია გორაკს და ბელტებს აქეთ იქეთ გაისროდნენ.

ყოველი მათი თოხის მოქნევას სამური, ხან კი სევდის მომგვრელი სიმღერა ამშვენებდა.

ოცნებამ გამიტაცა.

ამ ოცნებაში სინამდვილე დავინახე და ვანბობ, არა არ გაქრება ის კერა, რომელმაც წარმოშვა: შოთა, აკაკი ბარათიშვილი ილია და სხვა.

განა შეიძლება თამარის, ნინოს ქეთევანის შთამომავლობამ არ იარსებოს ღირსეულად?

შეუძლებელია ვფიქრობ!

სიამოვნებით მთვრალმა ქუდს ხელი წამოვავლე და გზას გაუდექი.

გზაშიც იგივე სურათი თვალწინ მეშლება.

სახლში, ყანაში, გზაში ყველგან ქალები.

ტირილში, ქორწილში მტერ-მოყვარესთან კვლავ-ქალები.

და ამის შემდეგ ძალა უნებურათ ჩემს თავს ვეკითხები:

— ყველაფერი კარგი, მაგრამ კიდევ შეიძლება ქალების უფლებების შესახებ კამათი და მისი არ მიღება?!

სელის—ძმა.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

დააპატიმრეს ცნობილი ს. დ—ტი ხრუსტალიოვი ნოსარი.

პროტესტი რუსეთის რევოლიუციის დიდი დედისა.

გაზეთ„ რ. ვ-ში დაბეჭდილია ე. ბრეშკოვსკაიას შემდეგი პროტესტი: „З и В-ли-„ს მოსკოვლ გამოცემის 9 №—ში ნათქვამია, რომ მე ეკატერინე კონსტანტინეს ასული ბრეშკობრეშ-კოვსკაია ერთსულოვანი ტაშის ცე..ით არჩეული ვიყავი ცენტრალურ კომიტეტს წევრად. თუ ასეთს არჩევას ადგილი ჰქონდა მინდა შემდეგი პასუხი მივსცე მას. მესამე საყოველთაო რუსეთის ყრილობამ სოციალისტ რევოლიუციონურ პარტიისამ, რომელმაც არ სცნო ღირსად თავისი ნდობისა, ღირსეული ღირსეულთა შორის რუსეთის მიწის მოქალაქე ალექსანდრე თეოდორისძე კერენსკი, —მოქალაქე მრავალ წლობით ამ..არათ დამცველი მშრომელი ხალხის ..ტერესისა, მიუხედავათ კატორგისა გადასახლების საშიშროებისა; მოქალაქე თავისი გაბედულობით, ვაჟკაცური სიტყვით და მოქმედებით დამცველი რუსეთის თავისუფლებისა ..ებერვლის რევოლიუციონურ დღეებში, მოქალაქე, რომელმაც გააუქმა სასჯელი სიკვდილისა, მოქალაქე, რომელმაც მიიღო თავის თავზე უაღრესად საპასუხმგებლო ადგილი სამხედრო და საზღვაო მინისტრისა ..რმიის სრული გახრწნის დროს, რომელიც უქადის დაღუპვას მოპოვებულ თავისუფლებას,—ასეთი ყრილობა არ ჩაითვლება ღირსების ..ორ შემფასებელად იმ პირებისა, ..ომლებსაც ირჩევს ცენტრალურ ..ომიტეტში. და ამისათვის მე ეკატერინე კონსტანტინეს ასული ბრეშკოვსკაია, უარსავყოფ მოვალეობას ცენტრალურ კომიტეტის წევრობისას, რომელსაც მოკისრებს მესამე საყოველთაო ყრილობა სოციალისტ რევოლიუციონურ პარტიისა.

„რუსის ქალებო შეერთდით"

..ომიტეტი კრუჟოკისა „რუსის ქალე..ო შეერთდით". „P. B."—ში შე..დეგ წერილს ათავსებს.

რუსის ქალებო!

„ჩვენი ღვიძლი დები სამშობლოს დასაცველად თხრილებში, წა..დენ, დიდება და პატივს გადაა..არებს ღირსეულ გმირ მხედარ ქა..ების სახელს ფურცელი ისტორი..ა. ნუ გავჩერდებით ჩვენც ზურგს ..კან უსაქმოთ. დავეხმაროთ ჩვენ ..ედართ დებს ტანისამოსით, სანო..კით და სხვა საშუალებით ნესტიან ..რილებში, სადაც თავის ნებით ..იდენ სხეულით სუსტი, მაგრამ ..ლით ძლიერი რუსის ქალები."

ივნის. ქალაქის საბჭოს დარბაზში ..დგა კონცერტი-მიტინგი ქალთა ..ლი სიკვდილის კომანდის სასარგებლოთ.

..ერენსკისა და ბრუსილოვს სიკვდი..თ ემუქრებიან.

..ოლშევიკებთა შორის უთანხმოება ..ა საკითხზე.

პ. ა. კროპოტკინი მიტინგზე.

25 ივნის არმიისა და ფლოტის ..ბაზში კროპოტკინი დაესწრო სა..რო მიტინგს, რომელსაც დიდი ოვაციით შეხვდენ. პ. ა. კროპოტკინი ავათ არის მას ლაპარაკი არ შეუძლია. მისი სიტყვა წაიკითხა მისმა ძმისწულმა ქალმა. თავის სიტყვაში დიდი რევოლიუციონერი მოუწოდებს რუსის საზოგადოებას დაეხმარონ სამხედრო ტყვეებს რომელთ მდგომარეობა გერმანიაში ერთობ უნუგეშოა. რაც შეეხება ომს კრაპოტკინი რუსეთისა და მოკავშირეთა ფრონტზე არსებულს თხრილებს ბარიკადებს უწოდებენ, რომელიც ამართულია ევროპის უკანასკნელ დესპოტიზმის წინაამდეგ. რაც არ უნდა ღირდეს ეს დესპოტიზმი უნდა მოისპოს.

ი. გ. წერეთლის ბრძანება.

ფოჩტა ტელეგრაფის მინისტრმა ი. გ. წერეთელმა შემდეგი ბრძანება გამოსცა: ,,ვუცხადებ პეტროგრადის პოჩტამტის მოსამსახურეებს, რომ ჩემ მიერ მიღებულია ყველა ზომები, რომ დაუყონებლივ შესრულებული იქმნას ახალი მთავრობის დადგენილობა შესახებს 60 მანეთით ჯამაგირის გადიდებაზე თითეულ მოსამსახურისათვის.

ტელეგრამმა ა.-ფ. კერენსკის სახელზე,

„საფრანგეთის ჯარი აღტაცებით ეგებება ამბავს თავის მოკავშირეების ბრწყინვალე წარმატებას. რუსის ჯარმა, რომლის აღფთოვანება შესძელით თქვენ, დაინახა მთელს მსოფლიოს, თურა შეუძლია ჩაიდინოს თავისუფალმა, პატრიოტმა ჯარის კაცმა.

საფრანგეთის ამხანაგების სახელით გთხოვთ გადასცეთ თქვენს სახელოვანს ჯარს, ჩვენი აღტაცება და შეურყეველი რწმენა თავისუფალ დემოკრატიის გამარჯვებაში, რომელნიც შეერთებულან ცენტრალურ იმპერიის თვით მყრობელ რეჟიმის წინაამდეგ.

დაჭრილთა ჩამოსვლა

24 ივნის ხარკოვში ჩამოვიდა „18 ივნისის პოლკის„ დაჭრილნი. გარნიზონი და მცხოვრებლები მათ დიდის აღფრთოვანებით შეხვდა რომელთა წითელ დროშებზე ეწერა: „მივდივართ თავისუფლებისათვის, ამხანაგებო წინ."

„დ. ნ„

ახალი ამბავი.

უკანასკნელი ცნობით პეტროგრადში დიდი არეულობაა, ჯარი მძიმე არტილერიით გარს შემოერტყა თავრიდის სასახლეს და ახალ მთავრობის წევრებს გადადგომა მოთხოვა, ჩხეიძემ ჯარი ვერ დააწყნარა. აღმ. კომიტეტის წევრებმა თავრიდის სასახლე დასტოვეს.

ქუთაისის საადრესო მაგიდის გამგე ილ. ჯანელიძე სთხოვს ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან დღეს საადრესო მაგიდა გააუქმეს და ის უადგილოთ არის და თანაც წვრილი ცოლშვილის პატრონი მოკლებულია ყოველს საკუთარს სახსარს ცხოვრებისათვის კეთილ ინებოს და მისცეს სადმე შესაფერი ადგილი ან ერთდროული დახმარება.

— **ახალი სასადილო.** თბილისის ქუჩაზე მ. აბდუშელის სახლში ვაიხსნა სუფთად მოწყობილი ახალი სასადილო.

— **კოოპერატიული ბოსტანი.** განზრახულია ახლო მომავალში ქუთაისში მოაწყონ კოოპერატიული ბოსტანი.

— **ფოსტის წერილების დაკარგვა** თანდათან ხშირდება საფოსტო კორესპონდენციების დაკარგვა საჭიროა საფოსტო საქმეთა კომისარებმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციონ.

— **ქართული სახელმძღვანელოები.** უკვე იბეჭდება ალგებრა და გეომეტრია ქართულად შედგენილი სიმონ ოცხელის მიერ. ისტამბება აგრეთვე ძველი რომისა და საბერძნეთი ისტორია, ამასთან დასაბეჭდათ მზადდება სახელმძღვანელო გეოგრაფია.

ახალი მილიცია არსდება ახალი სასამართლო მილიცია რომელიც შეასრულებს საიდუმლო პოლ. მოვალეობას. ასეთი განყოფილება მილიციონერებისა იარსებებს სასამართლო პალატის ბრალმდებელთან.

ხალხის თუ მეფის უფლება.

მთელი კაცობრიობა დაყოფილია ჯოგათ: თითეულს ჯოგს ყავს თავისი მწყემსი, რომელიც მისთვის იცავს მას, რომ ისაზრდოოს. „როგორც მწყემსი თავის ჯოგთან ეკუთვნის უმაღლესი ხარისხის არსებას, ისე ხალხის მწყემსი ბუნებრივა მაღლა სდგას თავის ხალხზე". ასე მსჯელობა კალიგულა, რომელსაც აქედან ის დასკვნა გამოყავდა, რომ ხალხი შესდგება არა ადამიანებიდან, არამედ პირუტყვებიდან. ადამიანი, რომელიც შედის სხვის მონობაში ყიდის თავის თავს, თუ ფულით არა სხვა საჭიროებისათვის. მაგრამ რისთვის აგდებს თავის თავს მონობაში მთელი ხალხი? სანამ შევისწავლიდეთ მას, თუ როგორ ირჩევს ხალხი თავისთვის მეფეს, საჭიროა შევისწავლოთ თუ როგორი გზით გარდაიქცევა ხალხი ნამდვილ ხალხათ, რადგან უკანასკნელის გამოკვლევა წარმოადგენს ჭეშმარიტს საძირკველს საზოგადოებისას.

სოლიდარობა.

ის ხალხი, რომლის წინაშე მე სიცოცხლით დავალებული ვარ, და ისენიც, ვისიც წყალობით მაქვს საშუალება საჭიროების დაკმაყოფილებისა, აგრეთვე ისინი, ვინც გარწთვნა ჩემი სული და გადმომცა თავისი ნიჭი,—შეიძლება ყველანი ცოცხალი არ არიან. მაგრამ კანონები რომელიც იცავდა ჩემს ბავშობას არ კვდება; კეთილი ზნე, რომლის შესწავლის ბედნიერება მე მქონდა, დახმარება რომელსაც მე მიწევდენ გაჭირვებაში, მოქალაქური თავისუფლება, რომლითაც მე ვსტკბები,—ყველა ამით ვალდებული ვარ იმ ორგანიზაციის წინაშე, რომელიც მიმართულებას აძლევს საზოგადო ზრუნვას მთელი ხალხის სასარგებლოთ, რომელსაც გათვალისწინებული ჰქონდა ჩემი საჭიროება, სანამ ქვეყნად დავიბადებოდი, და რომელიც პატივს აცემინებს ჩემს ნაშთებს ჩემი სიკვდილის შემდეგ. ჩემი კეთილის მყოფი მოკვდებიან, მაგრამ სანამ არსებობს ქვეყნათ ხალხი, მე ვალდებული ვარ დაუბრუნო კაცობრიობას ის სიკეთე, რომლითაც მისგან ვსარგებლობდი.

ჟ. ჟ. რუსო.

დ. სურამი.

სურამში გაიმართა საღამო წარმოდგენით გაზეთ „ხმა ქართველი ქალის" სასარგებლოთ.

თავი მოიყარა დიდ ძალმა საზოგადოებამ. დაესწრნენ სურამის ადგილობრივი მცხოვრებლები აგრეთვე მთაგარაკენიც. საზოგადოება კმაყოფილი დაიშალა სულ იყო შემოსავალი — — [illegible] მან. ხარჯი — — — [illegible] მან დარჩა წმინდა შემოსავალი 213 მან. რომელიც გადაეცა ამხანაგ რედაქტორს „ხმა ქართველი ქალისას" ე. მიქელაძეს. ჩემი გულითადი მადლობა მათ, ვინც, ჩემთან ერთად გაიზიარა მუშაობა ამ საღამოს მოსაწყობათ.

აგრეთვე დიდი მადლობა იმ ჯგუფთა მოწაფეს რომელმაც სცენაზე მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებით უძღვნი მადლობას ამხანაგ „კალაკმაროვს" რომელმაც რეჟისორობა გასწია 30 ივნისს.

თავმჯდომარე სურამის ქართველ ქალთა კავშირისა „მანდილოსნის" მარიამ ლომინაძისა.

P. S. რედაქციამ მიიღო მიხეილ ომანისძე ჩინჩალაძისაგან დ. სურამში შეგროვილი 15 მანეთი. და 13 მანეთი ეპრაქსია ვაშაკისაგან ჩვენი გაზეთის სასარგებლოთ.

ანეგდოტი საფრანგეთის რევოლიუციიდან

ვინმე ბრალდებული გვარად სენ-სირი წარუყენეს რევოლიუციონერ ტრიბუნალს. თავმჯდომარემ მას ჩვეულებრივი ჰკითხვა მისცა: თუ რა გვარისა იყო ის.

—ჩემი გვარია დე—სენ—სირი, უპასუხა ბრალდებულმა.

—თავად აზნაურობა ეხლა არ არსებობს,—უთხრა თავმჯდომარემ სასამართლოსამ.

—მაშინ მე მერქმევა სახელად სენ—სირი.

—ცრუ მორწმუნობისა და წმინდანების ბატონობა უკვე წასულია.

—რადგან ასეა მე ვიქნები სირი! (sire მეფე)

—მეფობა თავისი ხარისხით სამუდამოთ დამხობილია,

—რადგან მე აყრილი მაქვს სახელწოდება, ამით წარმოვადგენ აბსტრაქტიულ პიროვნებას და როგორც ასეთი არ შემეძლება დავემქვემდებარო იმ კანონს, რომელიც ვერ გასჯის განყენებულს, და გამართლებული უნდა ვიქნე.

ტრიბუნალი ასეთს უხერხულ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული ასეთი საფუძვლიანი პასუხით, რომ იძულებული იქმნა გაემართლებინა ის.

……

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ მკითხველთ, რომ დიდი ხნის დაკვირვებით და გამოცდილების მიხედვით ვაქიმობ-ჰაჭების, ღვიძლის, ბავშვების საყმაწვილო სნეულებებს — და აგრეთვე ნერვიულათ — დაავათმყოფებული როგორც მოზარდ თაობას,—ისე მცირე წლოვან და უსუსურებსაც..

მსურველ საჭიროების და მიხედვით შეუძლიათ მოგვმართონ შემდეგი ადრესით: ,,ქუთაისი ძველი თფილისის ქუჩა. აპელის სახლები.—გულნარა ქაიხოსროს ასული კანდელაკისა.

მიღება—შეიძლება—დილის — საათიდან საღამოის—6—საათამდე.